



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ადმოსავლური ფილოლოგია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: აღმოსავლური ფილოლოგია

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

1. არაბული ფილოლოგიის მაგისტრი
MA in Arabic Philology
2. თურქულ ფილოლოგიის მაგისტრი
MA in Turkish Philology
3. სპარსულ ფილოლოგიის მაგისტრი
MA in Persian Philology

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. გ. ჩიქოვანი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდა
- ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) საშუალო დონეზე ცოდნა (intermediate), რაც გამოცდით ან წარმოდგენილი საერთაშორისო სერთიფიკატით მოწმდება
- საუნივერსიტეტო წერითი გამოცდა არაბულ ენასა და ლიტერატურაში, თურქულ ენასა და ლიტერატურაში ან სპარსულ ენასა და ლიტერატურაში სპეციალიზაციის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული, ირანული და თურქული სამყაროები) ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისათვის აღმოსავლური ფილოლოგიის დარგებს აქტუალურსა და სტრატეგიულად მნიშველოვანს ხდის.

პროგრამა მოამზადებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) სპეციალობით, რომელსაც აღმოსავლური (არაბული / თურქული / სპარსული) ენის, ლიტერატურის,

ისტორიოგრაფიისა და საქართველოსთან კულტურულ-ისტორიული კონტაქტების თავისებურებების ღრმა ცოდნა ექნება. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაღრმავებას შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ქვემოთ მოყვანილი კურსები ორიენტირებულია აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) სპეციალისტთა განათლების გაღრმავებაზე როგორც თეორიულ, ასევე სპეციალურ საგნებში.

სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს შიდადარგობრივი დისციპლინების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო კურსების მიზანმიმართული შერჩევა.

სწავლის შედეგი:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

აღმოსავლური ფილოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებული ფლობს სისტემურ ცოდნას სპეციალობის ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში. მას აქვს ფუნდამენტური და პრაქტიკული მოზადება აღმოსავლური ფილოლოგიის შესაბამის დარგში და სრულყოფილად ფლობს სპეციალობას.

აქვს სისტემური ცოდნა:

- 1) ენის თეორიულ გრამატიკაში;
- 2) დიალექტოლოგიასა და არეალისტიკაში;
- 3) შესაბამის ენათა შედარებით გრამატიკასა და ლექსიკოლოგიაში;
- 4) შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის (არაბულ) საენათმეცნიერო შრომებში;
- 5) სათარჯიმნო დოკუმენტაციის და საქმიანი მიმოწერის აღმოსავლური ენიდან (არაბული/თურქული/სპარსული) ქართულად და პირუკუ თარგმნის; საქმიანი საუბრების არაბულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკაში.
- 6) დარგის ძველი, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ლიტერატურის (არაბული / თურქული / სპარსული) წყაროების, ისტორიის, ტენდენციების, სტრუქტურული მოდელების, ჟანრობრივ და ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებსა და ვერსიფიკაციის საკითხებში.
- 7) ქართულ-აღმოსავლურ ენობრივ და ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიულ-კულტურული კონტექსტის სპეციფიკასა და თავისებურებებში;
- 8) ყურანის, როგორც ლიტერატურული და ისლამური იდეოლოგიის ძეგლის საფუძვლებისა და ყურანის შუა საუკუნეების არაბ კომენტატორების ნააზრევის შესახებ;

9) მახლობელი აღმოსავლეთის (არაბული სამყარო, თურქეთი, ირანი) ეთნოლოგიისა და კულტურის შესახებ.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

მაგისტრს აქვს ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად ფლობს აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობას, შეუძლია მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება. მაგისტრის კომპეტენცია წვდება სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.

მაგისტრს აქვს ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგია /თურქული ფილოლოგია / სპარსული ფილოლოგია) დისციპლინებში და სრულყოფილ დონეზე ფლობს დარგს.

მას შეუძლია მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების არსისა და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

მას აქვს სხვადასხვა ლიტერატურული და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების კრიტიკული შეფასების უნარი.

გააჩნია სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირების, რეფერირებისა და რეცენზირების, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.

მაგისტრს აქვს ენობრივი და ლიტერატურული ფაქტების, პროცესებისა და მოვლენების ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში დამოუკიდებლად კვლევის განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში.

- **დასკვნის უნარი:**

მაგისტრს აღმოსავლური ფილოლოგიის კვლევების ასპექტებიდან, კერძოდ, ლინგვისტური, ძველი, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე აღმოსავლური პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის

ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის და ყურანის პრობლემატიკიდან რთული და არასრული ინფორმაციასა და უახლეს კვლევებზე დაყრდნობით შეუძლია დარგისდ აქტუალურინ საკითხების კვლევა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

მას დამოუკიდებლად შეუძლია სამეცნიერო–თეორიული კვლევის, პრაქტიკული მუშაობის წარმართვა და სხვადასხვა წყაროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა.

- **კომუნიკაციის უნარი:**

მაგისტრს შეუძლია იდეების, თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ ადმოსავლურ და რომელიმე ევროპულ ენაზე წარდგენა. მას აქვს პროფესიულ წრეებში თავისუფალი კომუნიკაციისა და აკადემიური სტანდარტებისა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით ლინგვისტური და ლიტერატურული მონაცემების შესაბამის თეორიულ ცოდნასა და ჩვევებზე დაყრდნობით ისტორილ–კულტურულ ასპექტში ანალიზისა და პრეზენტაციის, საკვლევ თემატიკაზე ჯგუფური პრინციპით მუშაობის უნარი.

- **სწავლის უნარი:**

მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმის მაღალ დონეს. შეეძლება ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ადმოსავლური ფილოლოგიის შესაბამის დარგში კვლევითი ხასიათის შრომის დაგეგმვა, პრობლემების გადაჭრა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია

- **ღირებულებები:**

მაგისტრი აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი.

ახლო ადმოსავლეთის ხალხებთან ურთიერთობის პროცესს ხშირად აფერხებს მათი მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიის, ტრადიციული ღირებულებების გაუთვალისწინებლობა. ადმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობის მაგისტრს ამ გარემოებათა გაითვალისწინებით შეუძლია ტოლერანტული დამოკიდებულების გამოჩენა ახლო ადმოსავლეთის მრავალფეროვანი მემკვიდრეობისა და ტრადიციის მიმართ, სხვათა აზრის გათვალისწინება, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში ჩართვა და წვლილის შეტანა.

კომპეტენციათა ცხრილი

საგნები	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარები	სწავლის უნარი	ღირებულებები
პროგრამის სავალდებულო კურსები 10 ECTS						
სამეცნიერო წერის საფუძვლები	+	+	+	+	+	
გენდერული პრობლემები მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში						
სპეციალიზაცია: არაბული ფილოლოგია 95 ECTS						
შუა საუკუნეების არაბული პოეზის წყაროები	+	+	+		+	
შუა საუკუნეების არაბული პოეზია	+	+	+		+	
შუა საუკუნეების არაბული პროზა 1	+	+	+		+	
შუა საუკუნეების არაბული პროზა 2	+	+	+		+	
სპეცურსი – შუა საუკუნეების არაბულენოვანი ფილოსოფიური ლიტერატურა	+	+	+		+	
სპეცურსი თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში	+	+	+	+	+	
არაბული დიალექტოლოგია 1	+	+	+	+	+	
არაბული დიალექტოლოგია 2	+	+	+	+	+	
სპეცურსი ყურანში	+	+	+			+
სპეცურსი სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკაში	+	+	+	+	+	
არაბული ენის თეორიული გრამატიკა	+	+	+			
სინქრონული თარგმანი	+	+		+		+
არაბული ფილოლოგიის არჩევითი კურსები						
არაბული ლექსიკოლოგია	+	+	+		+	
უცხო ენა 1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	+	+	+		+	
თანამედროვე არაბული ოფიციალური დოკუმენტაციის ენა	+	+	+		+	
აღმოსავლური ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა	+	+		+	+	
ისლამი და თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი	+	+	+	+	+	+
უცხო ენა 2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	+	+				

	შუა საუკუნეების არაბული გრამატიკული ლიტერატურა	+	+			+	
	ებრაული ენა	+	+	+	+		
სპეციალიზაცია: თურქული ფილოლოგია							
	სპეცურსი კლასიკურ თურქულ ლიტერატურაში	+	+	+	+		
	სპეცურსი ახალ თურქულ ლიტერატურაში	+	+	+	+		
	თურქული პოეტიკა	+	+	+	+		
	თურქული მხატვრული ლიტერატურის გვარები და ჟანრები	+	+	+		+	
	თურქული ფოლკლორი	+	+	+	+		
	თურქული დიალექტოლოგია და არეალისტიკა 1	+	+	+		+	
	თურქული დიალექტოლოგია და არეალისტიკა 2	+	+	+		+	
	ოსმალური ენა	+	+	+		+	
	თურქული ენის თეორიული გრამატიკა	+	+	+			
	თურქული ენათმეცნიერება	+	+	+		+	
	სპეცურსი თურქულ ენათა შედარებით გრამატიკაში	+	+	+		+	
	სინქრონული თარგმანი	+	+		+		+
თურქული ფილოლოგიის არჩევითი კურსები							
	თურქული ლექსიკოლოგია	+	+	+		+	
	თურქული ეთნოლოგია და კულტურა	+	+	+	+		
	უცხო ენა 1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	+	+	+		+	
	ადმოსავლური ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა	+	+		+	+	
	ისლამი და თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი						
	უცხო ენა 2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)						
	ოსმალური პალეოგრაფია და დიპლომატიკა						
	თანამედროვე თურქული ოფიციალური დოკუმენტაციის ენა						
სპეციალიზაცია: სპარსული ფილოლოგია							
	სპეცურსი კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში 1	+	+	+		+	
	სპეცურსი კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში 2	+	+	+	+		
	ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობები	+	+			+	+
	სპეცურსი „შაჰ-ნამეში“	+	+	+	+	+	
	სუფიზმი და სპარსული ლიტერატურა	+	+	+			+
	სპარსული პოეტიკა	+	+	+			
	სპეცურსი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში	+	+	+	+	+	+
	სპეცურსი ახალ სპარსულ ენაში	+	+	+	+		

~

	სპეცურსი ინდო-ირანულ ენათა შედარებით გრამატიკაში	+	+	+		+	
	ძველი და საშუალო ირანული ენები	+	+	+		+	
	ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობები	+	+	+		+	
	სინქრონული თარგმანი	+	+		+		+
სპარსული ფილოლოგიის არჩევითი კურსები							
	ირანის ეთნოლოგია, მხარეთმცოდნეობა, კულტურა	+	+	+	+	+	+
	სპარსული სტილმცოდნეობა	+	+	+	+		
	უცხო ენა 1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	+	+	+		+	
	ისლამი და თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი	+	+	+		+	+
	აღმოსავლური ისტორიოგრაფია და წყარომცოდნეობა	+	+	+		+	
	უცხო ენა 2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)						
	სპარსული პალეოგრაფია						
	სპარსულიდან ქართულად თარგმნის სემანტიკური და სტილისტური ასპექტები						
	საკურსო ნაშრომი	+	+	+	+	+	+
	სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+	+	+	+

სწავლის და სწავლების მეთოდები:

სააუდიტორიო მუშაობა - ლექციაზე და პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება. ასევე გამოიყენება დამოუკიდებელი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორცაა სალექციო მასალისა და საშინაო დავალების მომზადება, ბიბლიოთეკაში მუშაობა, შუალედური გამოცდებისათვის მზადება, დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია, დებატი, დედუქციურ-ინდუქციური მეთოდი

კომპონენტური ანალიზის მეთოდი. ჯგუფური განხილვები, ასევე ინფორმაციულ-ტექნიკური მეთოდები.

სწავლების და სწავლის აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც მოცემულია პროგრამაში.

დასაქმების სფერო:

მაგისტრი მზადდება პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, მეთოდიკური, მთარგმნელობითი საქმიანობისათვის.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის / თურქული ფილოლოგიის / სპარსული ფილოლოგიის) სპეციალობით ფართო პერსპექტივა ესაზღვრება: შეუძლია დასაქმდეს მეცნიერულ და პედაგოგიურ სფეროში, იღვაწოს დიპლომატიურ ასპარეზზე, შეუძლია იმუშაოს იმავე დეპარტამენტში, აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის ინსტიტუტებსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტერში, მუზეუმებში, წიგნსაცავებში, გამომცემლობებში, თარჯიმნად. ის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანია.

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 3 კატეგორიას მოიცავს:

1. პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები (10 კრედიტი)
2. სპეციალიზაციის კურსები, საკურსო და სამაგისტრო ნაშრომი (95 კრედიტი)
3. სპეციალიზაციის არჩევითი კურსები (15 კრედიტი)

სასწავლო გეგმა

კოდი	დისციპლინის დასახელება	საკონტაქტო საათები სემესტრში		დამოუკიდებელი მუშაობა				კრედიტების რაოდენობა				საათების განაწილება კურსებისა და კვირის მიხედვით			
		ლექცია	პრაქტიკული	ლექცია-პრაქტიკულებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდების მომზადება და გამოცდა	ფინალური გამოცდის მომზადება	ფინალური გამოცდა	I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	I kursi		II kursi	
												I sem	II sem	III sem	IV sem
პროგრამის სავალდებულო კურსები 10 ECTS															
	სამეცნიერო წერის საფუძვლები	8	16	86	5	8	2	5				2			
	ისლამი და თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი	30	15	65	5	8	2			5				3	
სპეციალიზაცია: არაბული ფილოლოგია 95 ECTS															
	შუა საუკუნეების არაბული პოეზის წყაროები	12	12	86	5	8	2	5				2			
	შუა საუკუნეების არაბული პოეზია	15	15	80	5	8	2		5				2		
	შუა საუკუნეების არაბული პროზა 1	15	15	80	5	8	2		5				2		
	შუა საუკუნეების არაბული პროზა 2	15	15	80	5	8	2			5				2	
	სპეცკურსი – შუა საუკუნეების არაბულენოვანი ფილოსოფიური ლიტერატურა	24	12	74	5	8	2	5				3			
	სპეცკურსი თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში	30	15	65	5	8	2			5				3	
	არაბული დიალექტოლოგია 1	15	15	80	5	8	2		5				2		
	არაბული დიალექტოლოგია 2	15	15	80	5	8	2			5				2	

სპეცურსი ყურანში	12	12	86	5	8	2	5					2			
სპეცურსი სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკაში	30	15	65	5	8	2		5					3		
არაბული ენის თეორიული გრამატიკა	24	12	74	5	8	2	5					3			
სინქრონული თარგმანი		45	64	5	8	3		5					3		
საკურსო ნაშრომი	10								5						
სამაგისტრო ნაშრომი	30										30				
არაბული ფილოლოგიის არჩევითი კურსები 15 ECTS															
არაბული ლექსიკოლოგია	24	12	74	5	8	2	5						3		
უცხო ენა 1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)		36													
თანამედროვე არაბული ოფიციალური დოკუმენტაციის ენა	12	24													
ადმოსავლური ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა	15	30	65	5	8	2		5					3		
გენდერული პრობლემები მახლობელი ადმოსავლეთის ქვეყნებში	30	15													
უცხო ენა 2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)		45													
შუა საუკუნეების არაბული გრამატიკული ლიტერატურა	30	15	65	5	8	2			5					3	
ებრაული ენა	15	30													
								30	30	30	30				
სპეციალიზაცია: თურქული ფილოლოგია 95 ECTS															
სპეცურსი კლასიკურ თურქულ ლიტერატურაში	12	12	86	5	8	2	5					2			
სპეცურსი ახალ თურქულ ლიტერატურაში	15	15	80	5	8	2		5					2		
თურქული პოეტიკა	30	15	65	5	8	2		5					3		

თურქული მხატვრული ლიტერატურის გვარები და ჟანრები	15	15	80	5	8	2			5				2	
თურქული ფოლკლორი	30	15	65	5	8	2			5				3	
თურქული დიალექტოლოგია და არეალისტიკა 1	12	12	86	5	8	2	5				2			
თურქული დიალექტოლოგია და არეალისტიკა 2	15	15	80	5	8	2		5				2		
ოსმალური ენა	24	12	74	5	8	2	5				3			
თურქული ენის თეორიული გრამატიკა	24	12	74	5	8	2	5				3			
თურქული ენათმეცნიერება	30	15	65	5	8	2		5				3		
სპეცკურსი თურქულ ენათა შედარებით გრამატიკაში	30	15	65	5	8	2		5				3		
სინქრონული თარგმანი		45	65	5	8	2			5				3	
საკურსო ნაშრომი	10								5					
სამაგისტრო ნაშრომი	30									30				
თურქული ფილოლოგიის არჩევითი კურსები 15 ECTS														
თურქული ლექსიკოლოგია	24	12	74	5	8	2	5					3		
თურქული ეთნოლოგია და კულტურა														
უცხო ენა 1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)		36												
აღმოსავლური ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა	15	30						5				3		
გენდერული პრობლემები მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში	30	15	65	5	8	2								
უცხო ენა 2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)		45												
ოსმალური პალეოგრაფია და დიპლომატიკა	30	15	65	5	8	2			5				3	

	თანამედროვე თურქული ოფიციალური დოკუმენტაციის ენა	15	30														
								30	30	30	30						
სპეციალიზაცია: სპარსული ფილოლოგია 95 ECTS																	
	სპეცურსი კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში 1	12	12	86	5	8	2	5				2					
	სპეცურსი კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში 2	15	15	80	5	8	2		5				2				
	ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობები	24	12	74	5	8	2	5				3					
	სპეცურსი „შაჰ-ნამეში“	24	12	74	5	8	2	5				2					
	სუფიზმი და სპარსული ლიტერატურა	30	15	65	5	8	2		5				3				
	სპარსული პოეტიკა	30	15	65	5	8	2			5					3		
	სპეცურსი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში	30	15	65	5	8	2			5					3		
	სპეცურსი ახალ სპარსულ ენაში	12	12	86	5	8	2	5				2					
	სპეცურსი ინდო-ირანულ ენათა შედარებით გრამატიკაში	30	15	65	5	8	2			5					3		
	ძველი და საშუალო ირანული ენები	15	15	80	5	8	2		5				2				
	ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობები	15	15	80	5	8	2		5				2				
	სინქრონული თარგმანი		45	65	5	8	2		5				3				
	საკურსო ნაშრომი	10								5							
	სამაგისტრო ნაშრომი	30												30			
სპარსული ფილოლოგიის სპეციალიზაციის არჩევითი კურსები 15ECTS																	
	ირანის ეთნოლოგია, მხარეთმცოდნეობა, კულტურა	24	12	74	5	8	2	5									
	სპარსული სტილმცოდნეობა																

უცხო ენა 1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)		36										3			
გენდერული პრობლემები მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში	30	15							5				3		
აღმოსავლური ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა	15	30	65	5	8	2									
უცხო ენა 2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)		45													
სპარსული პალეოგრაფია										5					3
სპარსულიდან ქართულად თარგმნის სემანტიკური და სტილისტური ასპექტები	30	15	65	5	8	2									

სტუდენტთა შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

სამაგისტრო პროგრამის ანალოგი:

- 1) ჯორჯტაუნის უნივერსიტეტი (აშშ) <http://arabic.georgetown.edu/programs/grad/arabic/ma/>
- 2) ჩიკაგოს უნივერსიტეტი (აშშ)
<http://nelc.uchicago.edu/graduate/programs/persian>
- 3) სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რუსეთი)
<http://orient.spbu.ru/education/master.php>
- 4) ლეიდენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები) <http://en.mastersinleiden.nl/programmes/arabic-persian-and-turkish-languages-and-cultures/>
- 5) იელის უნივერსიტეტი (აშშ)
<http://www.yale.edu/nelc/>

პროგრამის განხორციელებათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:

აწლუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულნი არიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები:

არაბული ფილოლოგიის მიმართულებით 1 სრული პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 2 მოწვეული ფილოლოგიის დოქტორი

თურქული ფილოლოგიის მიმართულებით 1 სრული პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი

სპარსული ფილოლოგიის მიმართულებით 1 სრული პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 2 მოწვეული ფილოლოგიის დოქტორი (CV იხ. დანართი # 2).

აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის, საქართველოში თურქეთისა და ირანის საელჩოების დახმარებით აღჭურვილია სასწავლო აუდიო-ვიდეო საშუალებებით (ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორები და 3 სატელიტური ანტენა, პერსონალური კომპიუტერები); აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე ფონდის დახმარებით არაბული ენის კურსის წასაკითხად მოწვეულია არაბული ენის ექსპერტი, ხოლო თურქეთის საელჩოს დახმარებით თურქული ენის მასწავლებელი

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის, თურქეთისა და ირანის საელჩოების დახმარებით, მაგისტრანტებს სპეციალიზაციის მიხედვით შეუძლიათ გაიარონ მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირება კაიროს უნივერსიტეტის არაბული და ისლამური კულტურის ცენტრში, თურქეთისა და ირანის სხვადასხვა უნივერსიტეტებში.